

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

## პოლიტიკის დოკუმენტი

---

რეგულირების ზეგავლენის  
შეფასების (RIA) ხარისხის  
უზრუნველყოფა საქართველოში:  
ექსპერტთა სერტიფიცირება

დეკემბერი, 2022

ავტორი:

ნორბერტო პინიატი

## სარჩევი

შესავალი .....	3
საჭიროების შეფასება .....	5
სერტიფიცირების მნიშვნელობა .....	7
სერტიფიცირების მომსახურების დანერგვა საქართველოში .....	9
სერტიფიცირება საქართველოში – შესაძლო ინსტიტუციური წყობა .....	10
სერტიფიცირება საქართველოში – სასერტიფიკაციო პროგრამის შესაძლო სტრუქტურა...	12
პროფესიული განვითარების გზა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსებისთვის/ექსპერტებისთვის .....	13
რეგულირების ზეგავლენის შეფასების ტრენერების პროფესიული განვითარების გზა .....	16
პოტენციური სერტიფიცირების მომსახურების მიმღები პირები .....	16
გამოყენებული ლიტერატურა .....	17

## შესავალი

საქართველოს მთავრობამ რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment – RIA) ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, როგორც პოლიტიკის შემუშავების განუყოფელი ნაწილი, თითქმის ათი წლის წინ დაიწყო. ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და 2020 წლის 17 იანვარს დადგენილება №35-ის დამტკიცებით დასრულდა (შემდეგში – „დადგენილება“).

ამ დადგენილებით საქართველომ ოფიციალურად მოახდინა რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაცია („დადგენილება რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“). დადგენილებით ცვლილება #4607 შევიდა საქართველოს 2019 წლის 29 მაისის კანონშიც ნორმატიული აქტების შესახებ<sup>1</sup>, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერებას. დადგენილების მიღების შემდეგ, რეგულირების ზეგავლენის შეფასება სავალდებულო გახდა:

- a) საქართველოს მთავრობის დადგენილებით პერიოდულად განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადების პროცესში, თუ კანონპროექტი ინიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ;
- b) რიგ შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონპროექტის მომზადების პროცესში.

აღნიშნული ნაწილობრივ ეხმიანებოდა SIGMA/OECD-ის 2018 წლის ანგარიშში წამოჭრილ კრიტიკას, რომლის თანახმადაც, რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვის პროცესის შეფერხება განპირობებული იყო ინსტრუმენტებისა და შესაძლებლობების არარსებობით, აგრეთვე რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციისა და მინიმალური სტანდარტის მახასიათებლების განმსაზღვრელი ოფიციალური დოკუმენტების არარსებობით, რაც ნეგატიურად აისახება იმ ანალიზის ხარისხზე, რომელიც საფუძვლად უდევს ახალ პოლიტიკასა და კანონებს.

დადგენილების დამტკიცებამ დღის წესრიგში სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებაში შესაძლებლობების განვითარების საჭიროება დააყენა, რათა აღნიშნულ დაწესებულებებს ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამავდროულად, ამ

<sup>1</sup> აღნიშნული კანონი არეგულირებს საქართველოში მომზადებული ნებისმიერი ნორმატიული აქტის ფარგლებსა და იერარქიას.

ყველაფერმა საქართველოს მთავრობა მოქმედი და მომავალი საჯარო მოხელეების მოსამზადებელი გრძელვადიანი და მდგრადი სისტემის შექმნის გამოწვევის წინაშე დააყენა, რომლის მიზანიც მათი უნარების მუდმივი სრულყოფა იქნება რეგულირების ზეგავლენის შეფასების სფეროში. დადგენილების დამტკიცებისთანავე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტებს სთხოვეს საჯარო მოხელეების გადამზადების სასწავლო პროგრამების სერიების შემუშავება და ჩატარება, რომლებიც 2020-2021 წლებში ჩატარდა. ამავდროულად, საქართველოს მთავრობის და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოთხოვნითა და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერით, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტებმა შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, რომელიც საზოგადოებას 2021 წლის 8 აპრილს, ონლაინ ღონისძიებაზე წარედგინა. თუმცა COVID-19-ის აფეთქებამ და პანდემიის ნეგატიურმა გავლენამ საქართველოსა და მსოფლიოზე ეს პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა. მაგალითად, როდესაც საქართველოს პარლამენტს ანგარიშის შედგენისას დავუკავშირდით, მივიღეთ ინფორმაცია, რომ 2021-2022 წლებში არ მიღებულა არანაირი კანონპროექტი, რომელიც მოიცავდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშს, თუმცა იმავე პერიოდში ჩატარდა რამდენიმე რეგულირების ზეგავლენის შეფასების კვლევა (ჩვენი წყაროების მიხედვით, 14 კვლევა, რომელთა ნახევარიც უკანასკნელ წლებში დაიწყო).

შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული საწყისი ძალისხმევის პარალელურად, დონორები კოორდინირებდნენ დისკუსიებს საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, ბიზნეს-ასოციაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაცია ქვეყანაში, რაც გულისხმობდა მდგრადი გრძელვადიანი პროგრამის უზრუნველყოფას შესაძლებლობების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის, ასევე რეგულირების ზეგავლენის შეფასების გადახედვის/ხარისხის კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც შესაძლოა დანერგილიყო აკადემიურ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში. ეს დისკუსია დღესაც გრძელდება. ექსპერტების აზრით, დონორ ორგანიზაციებს, როგორც ჩანს, განსხვავებული შეხედულებები აქვთ ხარისხის კონტროლის ასეთი სისტემის იდეალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. მთავრობას და ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს კი ამ დროისათვის არ აქვთ მტკიცე შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ახლა, როდესაც საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, გამოვიდა COVID-19-ის უმძიმესი კრიზისიდან, რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვის საკითხი კვლავ უნდა დაბრუნდეს ქვეყნის პოლიტიკის დღის წესრიგში, როგორც ეს დადგენილება №35-ის

დამტკიცებისას იყო. მართალია, RIA-ის ინსტიტუციონალიზაციის მხარდასაჭერად ტრენინგები და სხვა ინიციატივები განახლდა, თუმცა იმაზე ნელი ტემპით, ვიდრე RIA-ის ინსტიტუციონალიზაციის შემდეგ უნდა ყოფილიყო. ზოგი რეგულირების ზეგავლენის შეფასება საერთაშორისო დონორების მოთხოვნით ჩატარდა, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილ საკანონმდებლო ცვლილებასთან პირდაპირ კავშირში არ იყო. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული საკითხის დღის წესრიგში დაყენებას რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტებზე მოთხოვნის გაზრდა მოყვება, რათა სამინისტროებში, პარლამენტში, აკადემიურ წრეებში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ანალიტიკურ ცენტრებში და ა.შ. მოხდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების განყოფილებების დაკომპლექტება.

## საჭიროების შეფასება

ამჟამად რთულია იმის დადგენა, თუ რამდენ ადამიანს აქვს სიღრმისეული ცოდნა რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ. მართალია, წლების განმავლობაში 200-300 მოქმედი თუ ყოფილი საჯარო მოხელე და სამოქალაქო საზოგადოებებსა და აკადემიურ სფეროში დასაქმებული რამდენიმე პირი შეიძლება ჩართული იყო რეგულირების ზეგავლენის შეფასების სხვადასხვა სასწავლო პროგრამაში, მაგრამ ძალიან მცირეა ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ სრულფასოვნად ასწავლონ რეგულირების ზეგავლენის შეფასება (სტანდარტული ფორმით). ექსპერტთა შეფასებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების რიცხვი 40-ზე ნაკლებია. ეს განპირობებულია დასმული საკითხების სირთულით და იმით, რომ ამ საკითხების გადაჭრა კონკრეტულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს და განსხვავებული ცოდნისა და გამოცდილების მქონე მონაწილეთათვის მათი გამომუშავება/გადაცემა ხანმოკლე სასწავლო პროგრამების დროს შეუძლებელია. იმ პირთა რიცხვი კი, რომლებსაც ყველაზე კომპლექსური რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემუშავება შეუძლიათ, 15-ზე ნაკლებია. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა, ვისაც რეგულირების ზეგავლენის შეფასების სრულყოფილი ანგარიშის (დადგენილებით განსაზღვრულია ანგარიშის ორი ტიპი: სტანდარტული და სიღრმისეული) მომზადება შეუძლია, ამჟამად არ არის აუცილებელი, საჯარო მოხელე იყოს ან/და მუშაობდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშზე. ეს განაპირობა, მათ შორის, იმ საჯარო მოხელეთა საკადრო გადინებამ, რომლებიც პირველი რეგულირების ზეგავლენის შეფასების სასწავლო პროგრამაში მონაწილეობდნენ.

საკანონმდებლო აქტებში მოსალოდნელი მრავალი ცვლილების გამო, რომელთა შესახებ შესაძლოა ყოველწლიური რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შედგენა იყოს

საჭირო (პოტენციურად ყველა სამინისტროში), რეგულირების ზეგავლენის შეფასების წარმატებული ინსტიტუციონალიზაციისთვის გაცილებით მეტი ექსპერტია საჭირო.

დადგენილება №35-ის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა და რამდენიმე დონორთან დისკუსიის დროს გაჩნდა მისწრაფება, რომ მხოლოდ საჯარო სექტორში დაახლოებით 60-დან 100-მდე პირს გაეწეოთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის (სტანდარტული) შემუშავების სრული სასწავლო კურსი<sup>2</sup>. მოსალოდნელი იყო, რომ აღნიშნული პირები უმეტესწილად გაივლიდნენ სასწავლო პროგრამას სტანდარტული ანგარიშების შემუშავების შესახებ – ეს იქნებოდა პროგრამის ტექნიკურად ნაკლებად კომპლექსური და მეტად თვისობრივი ვერსია, რომელიც მეტი სამომავლო ავტონომიურობისთვის მოიაზრებდა „მენტორობას“ რეგულირების ზეგავლენის შეფასების სავარჯიშოების შესრულების საწყის ეტაპზე. ბიზნეს ასოციაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის გამო, იყო მოლოდინი, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების საკითხებში ექსპერტებზე მოთხოვნა გაორმაგდებოდა 24 თვის განმავლობაში, რაც დააკომპენსირებდა საჯარო სექტორის მხრიდან შემცირებულ მოთხოვნას. გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელი იყო, რომ სტანდარტული სასწავლო პროგრამის ახალი მონაწილეების რაოდენობა წელიწადში 60-80-მდე დასტაბილურდებოდა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან (და პერსონალის დენადობის გათვალისწინებით). გარდა ამისა, იყო მოლოდინი, რომ მოთხოვნა რეგულირების ზეგავლენის შეფასების საკითხებში საშუალო და მაღალი უნარების მქონე ექსპერტებზე დროთა განმავლობაში გაიზრდებოდა და 24 თვის განმავლობაში წლიური მოთხოვნის მაჩვენებელი 20-30-ს მიაღწევდა. წელიწადში კი, შესაბამისად, მოთხოვნა 10 პირზე იქნებოდა.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების დარგში ექსპერტების არასაკმარისი რაოდენობა ქვეყანაში წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჭეშმარიტი და ეფექტური ინსტიტუციონალიზაციისთვის და მოსალოდნელია, რომ ეს ხელს შეუშლის სრულად სათანადო და გამჭვირვალე მმართველობას.

---

<sup>2</sup> ეს რიცხვი რეალურია იმ სამინისტროების რაოდენობის (10) გათვალისწინებით, რომლებსაც დასჭირდებათ საკუთარი თანამშრომლების გადამზადება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შესამუშავებლად. გარდა ამისა, აღნიშნულ რაოდენობას უნდა დაემატათ მთავრობის ადმინისტრაცია, პარლამენტის სამდივნო და სხვა საჯარო დაწესებულებები/სააგენტოები.

## სართიფიცირების მნიშვნელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების არსებული რაოდენობა ქვეყნისთვის საჭირო პროგნოზირებულ რაოდენობაზე არსებითად დაბალია თითოეულ საფეხურზე.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ხშირად საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, უამრავმა აკადემიურმა დაწესებულებამ შეიმუშავა რეგულირების ზეგავლენის შეფასების სასწავლო კურსი (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური ინფორმაციით). მიუხედავად ამისა, ეს არ არის საკმარისი არსებული დანაკლისის გონივრულ ვადაში დასაბალანსებლად, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, საქმე იმაშია, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების საკითხებთან დაკავშირებული კურსებისა და სასწავლო პროგრამების ხარისხი ჯერ კიდევ არაერთგვაროვანია და, ზოგიერთ შემთხვევაში, ნაკლებად არის დაკავშირებული რეალურ პრაქტიკასთან. უმეტეს შემთხვევაში, ამ კურსებს ატარებენ ლექტორები, რომლებსაც აქვთ შეზღუდული (ან ფრაგმენტული) პრაქტიკული გამოცდილება ან/და შედარებით მწირი აკადემიური/ტექნიკური გამოცდილება რეგულირების ზეგავლენის შეფასების საკითხებში. ჩვენი გამოცდილებით, ამ კურსების უმეტესობა არ იძლევა ადეკვატურ ცოდნას სრული, სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემუშავებისთვის. გარდა ამისა, შეუძლებელია რეგულირების ზეგავლენის შეფასების იზოლურებულად სწავლება. ამას მოწმობს OECD-ის 2022 წლის ანგარიში მავრიკში რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვის შესახებ. OECD-ის თანახმად, „რეგულირების ზეგავლენის შეფასების დანერგვის მიზნებისთვის, სტრატეგიულ პრიორიტეტად რეგულირების ზეგავლენის შეფასებისათვის საჭირო უნარების გამომუშავება უნდა ჩაითვალოს... ეს განსაკუთრებით ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ უნარებს ეხება, რაც უმეტესწილად პრობლემის შეფასებას, ხარჯების გამოთვლის მეთოდიკას და შესაბამისი მონაცემების შეგროვებასა და ინტერპრეტაციას გულისხმობს“ (OECD, 2022). უფრო კონკრეტულად, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის სწორად შემუშავება მოითხოვს რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის შესწავლასა და ცოდნას, ეკონომიკის, რაოდენობრივი (მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზის) მეთოდების, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის, ზეგავლენის შეფასების, ასევე საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისა და დამტკიცების მარეგულირებელი კანონმდებლობის სულ მცირე საბაზისო დონეზე ცოდნას. გამოწვევა კიდევ უფრო დიდია რეგულირების ზეგავლენის შეფასების სიღრმისეული ანგარიშების შემთხვევაში, რომლის შემუშავებაც ზემოაღნიშნული საკითხების (და სხვა) ცოდნას მოითხოვს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფა

იმისა, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსები ფლობდნენ ასეთ უნარებსა და ცოდნას, გამოწვევად რჩება არა მხოლოდ განვითარებადი, (Adelle et al. (2016)), არამედ ისეთი განვითარებული ქვეყნებისთვისაც, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციას (იხ. დიდი ბრიტანეთის მაგალითი, რომელიც განიხილა რეგულირების პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წელს).

ამ ეტაპზე არსებული არცერთი რეგულირების ზეგავლენის შეფასების სასწავლო პროგრამა არ არის სათანადოდ ჩართული შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში და არ იძლევა ასეთი ტიპის ანალიზის შესამუშავებლად საჭირო ცოდნას. არსებული აკადემიური პროგრამებიდან მხოლოდ ძალიან ცოტა (მაგ.: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები) შეიძლება გარდაიქმნას ისე, რომ მისცეს სწორი მიმართულება მათ, ვისაც სურთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსები ან ექსპერტები გახდნენ.

ქვეყანაში რეგულირების ზეგავლენის შეფასების და მასთან დაკავშირებული საგნების სწავლების მონიტორინგის, გამარტივებისა და გაუმჯობესების ან თუნდაც სხვადასხვა დაწესებულებაში სწავლის დასრულების შემდეგ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების მომზადების დონის ობიექტურად შეფასებისთვის საჭიროა სისტემური და შეთანხმებული ძალისხმევა, რომლის არარსებობაც აჩენს რისკს, რომ სამუშაო ბაზარზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების ადგილს დაიკავებენ არაკვალიფიციური კადრები, რაც საბოლოოდ შეამცირებს საერთო ხარისხს, გამოიწვევს არასტანდარტულ რეგულირების ზეგავლენის შეფასებას და ნაკლებად ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას.

ამ საკითხის დეცენტრალიზებულად გადაჭრა რთულია, რადგან ქვეყანაში ცოტაა ისეთი ადამიანი და დაწესებულება, რომლებსაც შეუძლიათ შეიმუშავონ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშები (განსაკუთრებით ყველაზე რთული ტიპის) და, შესაბამისად, შეაფასონ, საკმარისია თუ არა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტის პოზიციაზე არსებული კანდიდატების მომზადების დონე ამოცანის შესასრულებლად ან/და საჭიროა თუ არა მათი გადამზადება „სამუშაო ადგილას“.

ამ პრობლემის გადასაჭრელად შესაძლო გზა არის სათანადო სერტიფიცირებისა და შესაძლებლობების განვითარების სისტემის უზრუნველყოფა, რომელიც განკუთვნილი იქნება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების კვალიფიკაციის შესამოწმებლად ან/და იმის უზრუნველსაყოფად, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში ჩართული დაწესებულებები და პირები ფლობდნენ მინიმალურ საჭირო ცოდნასა და უნარებს. ეს კი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი რეგულირების ზეგავლენის შეფასების ხარისხის კონტროლის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში.



# სერტიფიცირების მომსახურების დანერგვა საქართველოში

ამჟამად არ არსებობს უნიკალური საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც დაარეგულირებდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების სერტიფიცირების სქემებს. აკადემიური დაწესებულებები და სასწავლო ცენტრები, რომლებიც ატარებენ რეგულირების ზეგავლენის შეფასების სასწავლო პროგრამებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში, არ არის აკრედიტებული არცერთი საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრის მიერ. აქედან გამომდინარე, ასეთი სასწავლო პროგრამები არ შეიძლება აღიქმებოდეს სასერტიფიკაციო სქემებად, კვალიფიკაციის შემოწმების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ეს სასწავლო კურსები უფრო მეტად განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებსაც უკვე აქვთ საკმარისად დიდი აკადემიური/პრაქტიკული გამოცდილება და იყენებენ მათ თავიანთი პოზიციის გასაძლიერებლად ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე. მიუხედავად ამისა, პროგრამების წარმატებულ მონაწილეებზე გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატები და მათი საერთაშორისო/ეროვნული აღიარება ძირითადად ეყრდნობა გამცემის რეპუტაციასა და სასწავლო პროგრამების სირთულეს/შინაარსს.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების საკითხებში საერთაშორისო ექსპერტებთან კონსულტაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ანგარიშების და იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, სადაც რეგულირების ზეგავლენის შეფასება ინსტიტუციონალიზებულია, ირკვევა, რომ არ არსებობს ეროვნული სერტიფიცირების სტანდარტები (და პროგრამები). ყველა განვითარებად და განვითარებულ ქვეყანაში, სასწავლო პროგრამები, როგორც ჩანს, რჩება შესაძლებლობების განვითარების პოპულარულ მეთოდად, თუმცა (როგორც ზემოთ აღინიშნა) აქვს გარკვეული შეზღუდვები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. 2016 წლის კვლევამ, რომელმაც 16 განვითარებადი ეკონომიკის გამოცდილება გააანალიზა, დაადგინა, რომ ინსტიტუციური შესაძლებლობების ნაკლებობა რჩება ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად რეგულირების ზეგავლენის შეფასების წარმატებული და მდგრადი ინსტიტუციონალიზაციისთვის იმ ქვეყნებშიც კი (მაგ. უგანდა), რომლებშიც რამდენიმე წლის განმავლობაში საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით მნიშვნელოვანი სასწავლო პროგრამები ხორციელდებოდა.

## სერტიფიცირება საქართველოში – შესაძლო ინსტიტუციური წყობა

განათლების, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემების შესახებ არსებული ეროვნული კანონმდებლობის, ისევე როგორც საერთაშორისო გამოცდილების განხილვის შემდეგ, საქართველოში რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტებისა და ტრენერების სერტიფიცირების სისტემის შემუშავებისა და დამკვიდრების სამი ყველაზე ეფექტიანი მიმართულება გამოიკვეთა:

1. **ფორმალური პროცესი, რომელიც ეფუძნება (ამჟამად არარსებულ) ეროვნულ კანონმდებლობას.** ეს მოიაზრებს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების და ტრენერების სერტიფიცირების ვალდებულებას საკანონმდებლო დონეზე. ამ შემთხვევაში, სასერტიფიკაციო პროგრამის შესამუშავებლად საჭიროა ფორმალური პროცესის გატარება, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, სერტიფიცირების სქემის აკრედიტაცია უნდა მოხდეს [ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის \(EQE\)](#) ან [საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის \(GAC\)](#) მიერ. დაწესებულებებს, რომლებსაც მოუწდებათ აკრედიტებული სასწავლო პროგრამების ჩატარება, მოუწევთ მათი საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. თუმცა ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის სერტიფიცირებას, რომელიც საჭირო იქნებოდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტად ან/და ტრენერად მუშაობისთვის. შესაბამისად, არც [ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს \(EQE\)](#) და არც [საქართველოს აკრედიტაციის ცენტრს \(GAC\)](#) არ შეუძლიათ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტებისა და ტრენერების სერტიფიცირების რაიმე სქემის აკრედიტაცია. ვითარება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა მიიღებს კანონს სერტიფიცირების მოთხოვნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილი დაწესებულებების მიერ გაცემული ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ჩაითვლება კვალიფიკაციის დამადასტურებელ საბუთად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე ეს ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან არ მიმდინარეობს დისკუსია ამ სფეროში სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ.
2. **საქართველოს მთავრობისა და შერჩეული სპეციალიზებული დაწესებულებ(ებ)ის ერთობლივი ინიციატივა.** ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში, შესაძლოა დამყარდეს პარტნიორობა საქართველოს მთავრობასა და ერთ ან მეტ აღიარებულ დაწესებულებას შორის, რომლებსაც აქვთ აკადემიური წარმატების, მაღალი ხარისხის რეგულირების ზეგავლენის შეფასების კომპლექსური ანგარიშების შემუშავების და რეგულირების ზეგავლენის შეფასების სასწავლო პროგრამების ჩატარების

გამოცდილება, ცოდნა და კარგი რეპუტაცია. ასეთი პარტნიორობის მიზანი უნდა იყოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტობისა და ტრენერობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების სასურველი დონის განსაზღვრა, იდეალურ შემთხვევაში კი ყველა დაკავშირებული დაწესებულებისთვის სტანდარტიზებული გამოცდებისა და სერტიფიცირების პროცედურების შემოღება. ამგვარ დაწესებულებებში ამ პროცესს მხარი უნდა დაუჭირონ საერთაშორისო ექსპერტებმა, ასევე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ადგილობრივმა ექსპერტებმა, რომლებსაც აქვთ დადგენილების სიღრმისეული ცოდნა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების ქართულ კონტექსტში შემუშავების გამოცდილება, რათა უზრუნველყონ საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის დანერგვა სერტიფიცირების პროცესში. ამ შემთხვევაში არ იქნება საჭირო სასწავლო-სასერტიფიკაციო დაწესებულების/პროგრამის ავტორიზაციის ან/და აკრედიტაციის ძვირადღირებული ფორმალური პროცესის გავლა. ამგვარად თვითმართული სერტიფიცირების პროცესი, რომელშიც ჩართული იქნებოდა შეზღუდული რაოდენობის დაწესებულება, შეძლებდა სერტიფიცირების პროცესის ხილვადობისა და აღიარების უზრუნველყოფას. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებდა სერტიფიცირებული ექსპერტებისა და ტრენერების კვალიფიკაციის არაერთგვაროვნებასაც. ამ შემთხვევაში პოტენციური ნაკლი შესაძლოა იყოს ის, რომ ამგვარი შეთანხმების შექმნა და შენარჩუნება მოითხოვს პროცესში მთავრობის ჩართვას და მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის ერთობლივი ინსტიტუციური მექანიზმის დაწესებას (სერტიფიცირების განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის), რამაც შესაძლოა მცირედი ზეგავლენა იქონიოს მომსახურების მიწოდების ხარჯებზე და გარკვეულწილად შეუზღუდოს ავტონომია ცალკეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. დაწესებულ(ებ)ების თავდაპირველი შერჩევა და იმ პირებისა და ორგანოების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობას ამ პროცესში, სავარაუდოდ, იქნება ყველაზე კრიტიკული ნაბიჯი სისტემის განვითარების პროცესში.

3. არაფორმალური აღიარება დაინტერესებული მხარეების დონეზე, სერტიფიკატის გამცემი დაწესებულების რეპუტაციისა და სასწავლო კურსების შინაარსის საფუძველზე. ეს არის ყველაზე ნაკლებბიუროკრატიული და ნაკლებხარჯიანი ვარიანტი, რომელიც არ საჭიროებს რაიმე ზოგადი საკანონმდებლო დებულების შემუშავებას, არც სასწავლო და სერტიფიცირების პროგრამის ავტორიზაციის ან/და აკრედიტაციის ძვირადღირებულ ფორმალურ პროცესს და არც საქართველოს მთავრობისა და შერჩეული დაწესებულებების ერთობლივ ინიციატივას. ასეთ შემთხვევაში, სასწავლო და სერტიფიცირების პროგრამის წარმატების განმაპირობებელი ყველაზე კრიტიკული ფაქტორი იქნება სერტიფიცირების ორგანოების შესაძლებლობა, შეამოწმონ და

ობიექტურად შეაფასონ საჭირო ცოდნისა და უნარების დონე, ჩაატარონ სასწავლო კურსები ყველა ძირითად საგანში და მოიპოვონ კარგი რეპუტაცია ამ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვარიანტი შესაძლოა განსახორციელებლად ყველაზე მარტივი ჩანდეს, თუ სწრაფად არ ჩამოყალიბდა ერთი ან მეტი მაღალკვალიფიციური და კარგი რეპუტაციის მქონე სერტიფიცირების დაწესებულება, შესაძლოა მოითხოვდეს მეტ დროს გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად და სასწავლო და სერტიფიცირების დაწესებულების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მანამდე კი იარსებებს ჰეტეროგენული და ფრაგმენტული სასწავლო სისტემის არსებობის რისკი.

როდესაც ბაზარზე იქნებიან საკმარისი რაოდენობის სერტიფიცირებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტები და ტრენერები, ყველა ამ სერტიფიცირების სისტემის ჩანაცვლება მოხდება ახალი სისტემით, რომელშიც რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტები და ტრენერები შექმნიან პროფესიულ ასოციაციას, რომელიც იქნება მთავარი პასუხისმგებელი ორგანო სერტიფიცირების პროცესზე, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები შეინარჩუნებენ საგანმანათლებლო ფუნქციას.

სასწავლო/სასერტიფიკატო პროგრამა უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნებოდა სერტიფიცირებისადმი მოდულარული მიდგომის შემუშავება, სერტიფიცირების სხვადასხვა საფეხურით, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების და ტრენერების მიერ შესასრულებელ ფუნქციებთან. მოდულების შინაარსი რეგულარულად უნდა განახლდეს ბაზრის საჭიროებებსა და მახასიათებლებზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იქნება რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის განვითარებით, ასევე საუკეთესო ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკით.

## **სერტიფიცირება საქართველოში – სასერტიფიკაციო პროგრამის შესაძლო სტრუქტურა**

დადგენილება №35 განასხვავებს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ორ ტიპს – სტანდარტულს და სიღრმისეულს. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის ამ ორ ტიპს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებები არსებობს, სიღრმისეული რეგულირების შეფასების ანგარიშის შემუშავება რაოდენობრივ უნარებს და რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის უფრო სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს, რაც სტანდარტული ანგარიშის შედგენისას საჭირო არ არის. უფრო მეტიც, გუნდის ხელმძღვანელებს (სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემთხვევაშიც) გუნდის სხვა წევრებთან

შედარებით მეტი ცოდნა და მომზადება სჭირდებათ. გარდა ამისა, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ტრენერები არა მხოლოდ სიღრმისეულად უნდა იცნობდნენ რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიას და ფლობდნენ შესაბამისი ტიპის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შესამუშავებლად საჭირო უნარებს, არამედ თავადაც უნდა გაიარონ მომზადება სასწავლო კურსის ეფექტურად ჩატარებაში.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების სავარჯიშოების სწორად ჩატარებისა ან/და წარმართვისთვის და სასწავლო კურსების ჩასატარებლად საჭირო უნარების სხვადასხვა კომბინაციაზე დაყრდნობით, რეგულირების ზეგავლენის შეფასების სერტიფიკაციის მოდულური სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს სამ ძირითად საფეხურს თითოეული სერტიფიცირების მაძიებელი ჯგუფისთვის (რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტები და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ტრენერები). თითოეული საფეხურის შემთხვევაში, სასურველია, რომ შემოწმდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტების და ტრენერების ცოდნა რამდენიმე ისეთ საკითხში, რომელიც საჭიროა მაღალი ხარისხის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შესამუშავებლად. დაბალი საფეხურის ტესტირება უნდა ჩატარდეს უფრო ხშირად, რადგან მოსალოდნელია, რომ მოთხოვნა ასეთი ტიპის სერტიფიცირებაზე უფრო მაღალი იქნება (აგრეთვე, სერტიფიცირების ამ საფეხურის გავლა საჭირო იქნება უფრო მაღალი საფეხურის სერტიფიკატის ასაღებად).

## პროფესიული განვითარების გზა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსებისთვის/ექსპერტებისთვის

გზა ხსნილი უნდა იყოს ყველა იმ პირისთვის, რომელიც დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მაგალითად:

**საფეხური I (საბაზისო – უმცროსი სპეციალისტებისთვის, რომლებიც უწყვეტ დახმარებას სტანდარტული და სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში).**

*წინაპირობები:* მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ბაკალავრის ხარისხს შესაბამის სფეროში<sup>3</sup> და მუშაობის ერთწლიან გამოცდილებას<sup>4</sup>; მაგისტრის ხარისხს შესაბამის სფეროში; დოქტორის ხარისხს შესაბამის სფეროში; სხვა შესაბამის საერთაშორისო

<sup>3</sup> შესაბამის სფეროში მოიაზრება: ბიზნესის ადმინისტრირება, მონაცემთა მეცნიერება, ეკონომიკა, სამართალი, საჯარო ადმინისტრირება, საჯარო პოლიტიკა, სოციალური მეცნიერებები, სტატისტიკა.

<sup>4</sup> მენეჯერის, ბუღალტრის, ეკონომისტის, ანალიტიკოსის, იურისტის, სოციალურ მეცნიერებათა სპეციალისტის, სტატისტიკოსის პოზიციაზე.

სერტიფიკატებს (მაგ. Certified Analytics Professional (CAP) სერტიფიკატი); ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს სხვა დარგში და 2-წლიან სამუშაო გამოცდილებას იმავე სფეროში.

- I საფეხურის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა გამოცდის ჩაბარება (წერილობით ან ზეპირად), რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:
  1. ძირითადი ეკონომიკური კონცეფციები (მიკრო და მაკროეკონომიკა);
  2. რეგულირების ზეგავლენის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ანალიზის საფუძვლები;
  3. სტატისტიკური და ფინანსური ანალიზის ძირითადი კონცეფციები (Excel-ის გამოყენებით);
  4. რეგულირების ზეგავლენის შეფასების შესახებ მთავრობის დადგენილების და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიის ცოდნა;
  5. საჩვენებელი რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის წერილობითი შემუშავება;
  6. რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის კრიტიკული ანალიზი.

**შენიშვნა:** მე-4, მე-5 და მე-6 საკითხების გამოცდების ჩასაბარებლად საჭიროა მე-4 და მე-5 საკითხების ორი 21-საათიანი კურსის გავლა. 1-ელი, მე-2 და მე-3 საკითხების გამოცდების ჩასაბარებლად საჭიროა თითოეული საკითხის 21-საათიანი მოსამზადებელი კურსის გავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სერტიფიცირების უწყება ათავისუფლებს აპლიკანტს მოსამზადებელი კურსებიდან<sup>5</sup>.

## **საფეხური II (საშუალო – სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდის ხელმძღვანელებისა და ანალიტიკოსებისათვის)**

**წინაპირობები:** I საფეხურის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შემუშავების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.

- II საფეხურის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა გამოცდის ჩაბარება (წერილობით ან ზეპირად), რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:
  1. გარემოსდაცვითი ეკონომიკისა და სოციალური ეკონომიკის პრინციპები;
  2. ზემოქმედების შეფასების პრინციპები;
  3. ეკონომეტრიკის პრინციპები;

<sup>5</sup> კურსის გავლაზე უარის თქმა შესაძლებელია, თუ კანდიდატს უკვე გავლილი აქვს ეკვივალენტი კურსი, რასაც ადასტურებს სერტიფიცირების უწყების მიერ გაცემული სერტიფიკატი.

4. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის პრინციპები;
5. კლასში საჩვენებელი ხარჯ-სარგებლიანობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი წერილობითი ანალიზის შემუშავება;
6. სტანდარტული რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების მართვა.

**შენიშვნა:** მე-5 და მე-6 საკითხების გამოცდების ჩასაბარებლად საჭიროა მე-5 და მე-6 საკითხების ორი 21-საათიანი კურსის გავლა. 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-4 საკითხების გამოცდების ჩასაბარებლად საჭიროა თითოეული საკითხის 21-საათიანი მოსამზადებელი კურსის გავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სერტიფიცირების უწყება ათავისუფლებს აპლიკანტს მოსამზადებელი კურსებიდან<sup>6</sup>.

### **III საფეხური (უმალესი – სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების გუნდის ხელმძღვანელებისა და ანალიტიკოსებისათვის)**

*წინაპირობები:* II საფეხურის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შემუშავების მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება.

- III საფეხურის სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა გამოცდის ჩაბარება (წერილობით ან ზეპირად), რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:
  1. დროითი სერიების ეკონომეტრიკა;
  2. პანელური მონაცემების ეკონომეტრიკა;
  3. გამოთვლადი ზოგადი წონასწორობის მოდელირების საფუძვლები;
  4. ოპტიმიზაციის საფუძვლები, ხაზოვან და არაწრფივი პროგრამირების ჩათვლით;
  5. ქმედებაზე დაფუძნებული ზეგავლენის შეფასება: ექსპერიმენტები და კვაზი ექსპერიმენტები;
  6. ქმედებაზე დაფუძნებული ზეგავლენის დაახლოებითი მაჩვენებლების დადგენა: მოთხოვნის მრუდებისა და სამომხმარებლო ნამეტის პირდაპირი შეფასება;
  7. ქმედებაზე დაფუძნებული ზეგავლენის შეფასება: არაპირდაპირი ბაზრის მეთოდები;
  8. პროპორციული შეფასების მეთოდები: ხარჯებისა და სარგებლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გამოკითხვების მეშვეობით.
  9. სიღრმისეული რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესების მართვა.

**შენიშვნა:** მე-9 საკითხის გამოცდების ჩასაბარებლად საჭიროა 21-საათიანი კურსის გავლა თითოეულ საკითხში. 1-ელი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 საკითხების გამოცდების ჩასაბარებლად საჭიროა თითოეული საკითხის 21-საათიანი მოსამზადებელი კურსის გავლა,

<sup>6</sup> კურსის გავლაზე უარის თქმა შესაძლებელია, თუ კანდიდატს უკვე გავლილი აქვს ეკვივალენტი კურსი, რასაც ადასტურებს სერტიფიცირების უწყების მიერ გაცემული სერტიფიკატი.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სერტიფიცირების უწყება ათავისუფლებს აპლიკანტს მოსამზადებელი კურსებიდან<sup>7</sup>.

## რეგულირების ზეგავლენის შეფასების ტრენერების პროფესიული განვითარების გზა

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ტრენერებს უნდა შეეძლოთ სხვადასხვა სირთულის საუკეთესო გამოცდილების შესახებ სწავლება. მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ სწავლება არ მოიცავს ისეთი კონკრეტული მეთოდების ან საგნების (მაგ., ეკონომეტრიკა, ეკონომიკა, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, ზეგავლენის შეფასება) სწავლებას, რომლებიც მოითხოვს კონკრეტულ აკადემიურ გამოცდილებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების სასწავლო პროგრამებით. ეს გზა ხსნილი უნდა იყოს ყველა იმ პირისთვის, რომელიც აკმაყოფილებს მასერტიფიცირებელი დაწესებულებების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

## პოტენციური სერტიფიცირების მომსახურების მიმღები პირები

ასეთი ტიპის სერტიფიცირების მომსახურების (მიზნობრივი სწავლების თანხლებით) პოტენციური სამიზნე ჯგუფებია:

- საჯარო დაწესებულებები (მთავრობა, სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი და ა.შ.), რომელთა მიზანია:
  - საკუთარი პერსონალის კვალიფიკაციის შეფასება;
  - არსებული ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა.
- კერძო დაწესებულებები (სასწავლო პროგრამები, ანალიტიკური ცენტრები, საკონსულტაციო კომპანიები და ა.შ.), რომელთა მიზანია:
  - საკუთარი პერსონალის სერტიფიცირება საჯარო მმართველობის ორგანოებისთვის სასწავლო ან/და საკონსულტაციო სერვისების შეთავაზებამდე;

<sup>7</sup> კურსის გავლაზე უარის თქმა შესაძლებელია, თუ კანდიდატს უკვე გავლილი აქვს ეკვივალენტი კურსი, რასაც ადასტურებს სერტიფიცირების უწყების მიერ გაცემული სერტიფიკატი.



- საკუთარი პერსონალის მომზადების დონის შემოწმება ან/და ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა
- დასაქმებული პირები, რომლებიც ასრულებენ (ან აპირებენ შეასრულონ) რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების ან/და ტრენერების (როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში) მოვალეობებს, რომელთა მიზანია საკუთარი ცოდნის გაღრმავება და კარიერული წინსვლა.
- კერძო პირები, რომლებსაც სურთ პროფესიული ცოდნის გაღრმავება, რათა შრომის ბაზარზე დაიკავონ ადგილი რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანალიტიკოსების/ექსპერტების/ტრენერების როლში.

## გამოყენებული ლიტერატურა

Adelle, C., Weiland, S., Dick, J., González, D., Marquart, J., Rots, G., Wübbecke, J., Zasada, I. (2016) Regulatory Impact Assessment: A Survey of Selected Developing and Emerging Economies. *Public Money and Management*, **36**(2) 89-96.

OECD (2022). Establishing Regulatory Impact Assessment in Mauritius, 2022 <https://www.oecd-ilibrary.org/sites/202ccacf-en/index.html?itemId=/content/component/202ccacf-en#section-d1e8080> Retrieved online on the 20<sup>th</sup> of December 2022.

Regulatory Policy Committee (2020). Impact Assessments: Room for Improvement? [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/906260/RPC\\_Impact\\_Assessments\\_Room\\_for\\_Improvement.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/906260/RPC_Impact_Assessments_Room_for_Improvement.pdf) Retrieved online on the 20<sup>th</sup> of December 2022.

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

---

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

[www.iset-pi.ge](http://www.iset-pi.ge)

[iset-pi@iset.ge](mailto:iset-pi@iset.ge)

+995 322 507 177